პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ს

ტყვარჩელი — მეშახტეთა ქალაქი

ეს საქმოდ მოხეტიალეს ვერ წახავ ტყვარჩელში. აქ ყველაფერი თავისებურია და ყველაფერს მშრომელი კაცის მუშაობის დაღი ატყვია. არც შენი საქმიანობის სფეროა დავიწყებული. გაგაცნობ მეხუთე შახტის სიამაყეს — პირველთანრიგოსან მოჭიდავე ზოსიმე ზუხბას, რომელიც კომუნისტური შრომის ბრიგადას ხელმძღვანელობს, ჰიდროელექტროსადგურის ცვლის უფროსს—ფეხბურთელ ნოდარ ბუანიას, ამავე საწარმოს საგემო განყოფილების გამგეს — ძალოსან შავლე ქუჩუბერიასა და სხვებს!... — მეუბნებოდა ჩემი ტყვარჩელელი ამხანაგი.

... მთიან ადგილზე მდებარეობს ტყვარჩელი. მიწაზე რომ ბურთი დააგდო, იფიქრებ, ისე დაგორდება, რომ სადგურამდე ვეღარ დაიჭერ, მაგრამ შეხედულებას შეიცვლი, როცა ახალ სტადიონს ნახავ, სტადიონს, რომლის მშენებლობაში თავისი წვლილი შეაქვთ ყველას — ქალაქის ინტელიგენციას, მეშახტეებსა და მოსწავლე ახალგაზრდობას. ■ საწარმოთა ნიშანდობლივი ხელი ყველაზე უკეთ ტრიბუნებს ატყვია — ზოგი ზურგიანი სკამებითაა შევსებული, ზოგი—კოხტად მოპირკეთებული დასაჯდომებით, ზოგიც — უბრალო ფიცრებით. სახალხო მშენებლობის მონაწილეებს მათზე გაპიროვნებული ადგილები შესაძლებლობებისა და უნარის მიხედვით აქვთ დამუშავებული. ფეხბურთის მწვანე მინდორი ოჩამჩირიდან აგურებად დაჭრილი მიწის ბელტებითაა მოფენილი, მძლეოსნურ სექტორებისა და სარბენი ბილიკების მოწყობა კიდევ ბევრ სამუშაოს მოითხოვს, ფეხბურთის მინდორი კი თავისი ხარისხით არ ჩამოუვარდება რესპუბლიკის საუკეთესო სტადიონებს.

პირველი სიხარული უკვე მოუტანა ამ სტადიონმა ტყვარჩელელ გულშემატკივრებს — ორ თვეს გახტანა „მოხუც“ სპორტსმენთა 14 გუნდის შეჯიბრებამ, რომელშიც სხვადასხვა საწარმოთა და შახტის საუკეთესო წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. მოთამაშეთა შორის იყვნენ ქალაქის მთავარი ექიმი — გიორგი ნუცუბიძე, შახტის ინჟინრები და ცნობილი სპეციალისტები, რომელთა უშუალო მონაწილეობით გაშენდა და გალამაზდა ქალაქი ტყვარჩელი.

მეშახტეთა ქალაქის ფიზკულტურული კოლექტივებიდან მოწინავეთა რიგებში დგას ცენტრალური გამაუხვებელი ფაბრიკა. დირექტორის, ადრე პირველთანრიგოსანი ტანმოვარჯიშის — მუჰამედ ლაბახუას დახმარებითა და ხელშეწყობით ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარემ, „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონმა მსუბუქი წონის მოჭიდავეთა შორის ბორის ჯოლოგუამ აქტივთან ერთად ძველი, წუობილებიდან გამოსული ხაწუობი მცირე სპორტულ დარბაზად გადააკეთა და ფაბრიკის სპორტსმენებმაც სამოქმედო ასპარეზი იშოვეს.

დარბაზში მდგარმა ძალოსანთა ფიცარნაგმა, მცირე ჩოგბურთის მაგიდამ და ტანვარჯიშულმა იარაღებმა რამდენადმე გაზარდა ფიზკულტურელთა რიცხვი. მათ სპორტულ მიღწევებზე კი შემდეგი მონაცემები ლაპარაკობენ: იქაური ფეხბურთელები აფხაზეთის ჩემპიონები არიან ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის, ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდები პირველობას არაფის უთმობენ ქალაქში, ძალოსნებმა მეოთხე ადგილი დაიკავეს „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე. საქალაქო ჩემპიონატის პრიზიორები არიან მაგიდის ჩოგბურთელები. 8 პირველთანრიგოსანი, 2 მეორე და 17 მესამეთანრიგოსანი, აი მათი ნორმატივო ნადავლი მარტო მიმდინარე წელს.

სანიმუშოა მე-2 საშუალო სკოლის ფიზკულტურული კოლექტივიც (დირექტორი — მ. ლეკვეიშვილი, ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი — დ. ლაბანკოვი), რომელიც ერთ-ერთ ადგილს იკავებს ტყვარჩელის ფიზკულტურულ ოჯახებს შორის. ამ სკოლის ფიზკულტურულ ოჯახებს ბევრ ადგილობრივ ფიზკულტურულ ოჯახებთან ერთად ეკუთვნის ... ...

ტრადიცია დაირღვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამთავრდა თბილისელ ხუთჭიდელთა ჩემპიონატი, რომლის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა ორი ფაქტორი —მასობრიობა (შეჯიბრებაში მონაწილეობდა 20 სპორტსმენი) და გუნდურ შეჯიბრებაში თბილისის მუდმივი ჩემპიონების — „სპარტაკის“ ხუთჭიდელების დამარცხება.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა „დინამოს“, „ბურევესტნიკისა“ და „სპარტაკის“ გუნდები, რომლებიც სამი მოზრდილი და თითო მოზარდი სპორტსმენით იყო დაკომპლექტებული, გარდა ამისა ჩემპიონატში დაუშვეს 8 სპორტსმენი პირად შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის.

როგორც წესი, შეჯიბრება ცხენოსნური კროსით დაიწყო. აქ გამარჯვება მოიპოვა დინამოელმა რ. პაპოიანმა.

მეორე დღეს შეჯიბრების მონაწილეებმა საფარიკაო ბილიკზე გადაინაცვლეს. აქ გამარჯვებათა ყველაზე დიდი რაოდენობა კ. კალმახელიძემ („სპარტაკი“) დააგროვა და ორი დღის შედეგების მიხედვით ლიდერთა ჯგუფს სათავეში მოექცა. შეჯიბრების მესამე სახეობის — სროლის დამთავრების შემდეგ „ბურევესტნიკის“ სპორტსმენები ლიდერობდნენ. პირად ჩათვლაში წინ კვლავ კ. კალმახელიძე იყო, რომელმაც სროლაში 193 ქულა დააგროვა. სამი სახეობის შემდეგ ლიდერს 2910 ქულა ჰქონდა. მეორე ადგილზე იყო დინამოელი ზ. გვასალია და მესამეზე — ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ს. პანადა. ლიდერთა რიგებში კორექტივი შეიტანა 300 მეტრზე ცურვამ. აქ დინამოელმა სპორტსმენებმა არა თუ შეავიწროვეს ბურევესტნიკელი ხუთჭიდელები, არამედ საერთო პირველ ადგილზეც გავიდნენ ოთხი სახეობის ჯამში. პირად ჩათვლაში ლიდერობა ხელთ იგდო დინამოელმა ზ. გვასალიამ — 3476 ქულა.

შეჯიბრების უკანასკნელ დღეს, მძლეოსნურ კროსში გამარჯვებით დინამოელებმა შეინარჩუნეს მოპოვებული უპირატესობა და გუნდური პირველობაც მოიპოვეს. მეორე ადგილზე გამოვიდნენ „ბურევესტნიკის“ სპორტსმენები. თბილისის მრავალგზის ჩემპიონი — „სპარტაკის“ გუნდი მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

მძლეოსნურ კროსში გამარჯვებამ თბილისის ჩემპიონობა მოუტანა დინამოელ ი. მურომცევს, რომელმაც 4500 ქულა დააგროვა. მეორე ადგილზეა ზ. გვასალია, ხოლო მესამეზე — რესპუბლიკის ჩემპიონი ა. კრავჩენკო.

ჭაბუკთა შორის პირველობა მოიპოვა დინამოელმა ვ. ანანოვმა — 4236 ქულა.

რეკორდი მახარაძეში

მახარაძელმა სპორტსმენებმა კარგი საჩუქარი მიიღეს: ადგილობრივ მონადირეთა საზოგადოების ინიციატივით აიგო ახალი სასანგრო და მრგვალი სტენდის მოედნები. აქ მოეწყო შეჯიბრება საბჭოთა კავშირის ინსტიტუციის სახელობის თასზე. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ „აფხაზმონკავშირის“, „აჭარმონკავშირის“, თბილისისა და მახარაძის საუკეთესო მსროლელები. პროგრამაში იყო სროლა ადგილიდან და მრგვალ სტენდზე.

პირველ დღეს შეჯიბრების მონაწილენი ისროდნენ ადგილიდან. კარგი სტარტი აიღო სპორტის ოსტატმა ზ. მაჩხანელმა, რომელმაც ყველა 25 სამიზნე დაამსხვრია. თითო სამიზნეს დააცილეს ვ. ჯაბახიძემ და ბ. სეგალევიჩმა. მომდევნო სერიებში ლიდერებს გვერდში ამოუდგნენ სპორტის ოსტატები ბ. მეგრელაძე, შ. ჩახნაშვილი, ა. ოვსეპიანი. დღის ბოლოსათვის 100 სამიზნის მიღების შემდეგ სადემონსტრაციო დაფა გვიჩვენებდა შემდეგ შედეგებს:

ზ. მაჩხანელი — 98; ბ. მეგრელაძე — 95, შ. ჩახნაშვილი, ა. ოვსეპიანი, ვ. ჯაბახიძე — 94 თვითეულს.

მეორე დღეს კვლავ შესანიშნავად ისროდა ზ. მაჩხანელი, რომელიც კარგ სპორტულ ფორმაშია. მან მხოლოდ ერთ სამიზნეს დააცილა და 100 შესაძლებლიდან ორი დღის ჯამში 197 დაზიანებული სამიზნით დაამყარა ახალი რესპუბლიკური რეკორდი. მისივე ძველი რეკორდი გაუმჯობესებულ იქნა ერთი ქულით. მეორე ადგილზე გამოვიდა მახარაძელი სპორტის ოსტატი ბ. მეგრელაძე, რომელმაც დაზიანა 189 სამიზნე. მესამე ადგილზეა სპორტის ოსტატი ი. საგანელიძე — 188.

გუნდური პირველობა სროლის ამ სახეობაში წილად ხვდათ თბილისელებს, რომლებმაც მხოლოდ 2 ქულით გაუსწრეს სოხუმელებს, მესამე ადგილზე არიან მასპინძლები.

შეჯიბრების ბოლო დღეს გაიმართა მრგვალ სტენდზე სროლა. გუნდური პირველობისათვის ბრძოლა უმთავრესად მიმდინარეობდა თბილისისა და სოხუმის გუნდებს შორის. მხოლოდ უკანასკნელმა სერიამ მისცა უპირატესობა თბილისელებს, მესამე ადგილზე გამოვიდნენ „აჭარმონკავშირის“ სპორტსმენები.

კარგად ესროდა სპორტის ოსტატი ე. ძიძიგური, რომელმაც 75-დან მხოლოდ ერთ სამიზნეს დააცილა. მას 3 ქულით ჩამორჩებოდნენ სოხუმელი სპორტის ოსტატი ბ. სეგალევიჩი და ზ. მაჩხანელი, მეოთხე სერიაში სეგალევიჩმა დაზიანა 24, მაჩხანელმა — 23 სამიზნე. ჯერი მიდგა ძიძიგურზე. მას თითქოს განაღდებული ჰქონდა პირველი ადგილი, მაგრამ სპორტსმენს ნერვებმა უმტყუნა და უკანასკნელ სერიაში შეძლო მხოლოდ 21 სამიზნის დაზიანება, რის შედეგადაც სეგალევიჩი წამოეწია ლიდერს. მათ შორის დამატებითმა სროლამ გამარჯვება მოუტანა სოხუმელს. მესამე ადგილზეა ზ. მაჩხანელი.

სროლის ორივე სახეობის კომპლექსში — სროლა ადგილიდან და მრგვალ სტენდზე, გაიმარჯვეს თბილისელებმა და მოიპოვეს კონსტიტუციის სახელობის თასი. მეორე ადგილზე გამოვიდა „აფხაზმონკავშირის“ ნაკრები, რომელიც გამარჯვებულს 7 ქულით ჩამორჩა.

ჯ. მოწონელიძე,

შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

* * *

სურათებზე: ზევით — შეჯიბრების მონაწილეთა პარადი, ქვევით — შეჯიბრებაში გამარჯვებული ზ. მაჩხანელი (მარცხნივ) და მეორე ადგილზე გამოსული ბ. მეგრელაძე.

ფოტო ა. აბულაძისა

ფეხბურთი ჭიჭინეთსა და რუსთავში

რუსთავი

აქ მოეწყო არაორგანიზებული, ე. წ. „ქუჩის გუნდების“ შეჯიბრება ფეხბურთში, სადაც მონაწილეობა მიიღო 22 კოლექტივმა. ნახევარფინალამდე შეჯიბრება მიმდინარეობდა გამოთიშვითი სისტემით, ხოლო შემდეგ — წრიული წესით.

მთელი ეს „მარათონი“ წარმატებით განვლო ამიერკავკასიის მეტალურგშენის ტრესტის № 4 სახლმმართველობის გუნდმა, რომელმაც მოიპოვა კიდეც პირველი ადგილი. მეორე ადგილი დაიკავეს მეტალურგიული ქარხნის № 8 სახლმმართველობის, ხოლო მესამე — № 19 სახლმმართველობის ფეხბურთელებმა.

გამარჯვებულთა დაჯილდოება მოხდა საზეიმო ვითარებაში.

ყ. ფილიევი

ჩხოროწყუ

დიდი ინტერესი გამოიწვია სოფლის ფეხბურთელთა სარაიონო თასის გათამაშებამ.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ლესიჭინის ჩაის საცდელ-საჩვენებელი მეურნეობისა და ქვედა ჩხოროწყუს კოლმეურნეობის გუნდები. პირველმა მატჩმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 1:1. განმეორებითი მატჩი მოიგეს ქვედა ჩხოროწყუს ფეხბურთელებმა — 2:0.

მ. კვირკველია

პირველი ეტაპი განვლილია

„დინამო“ (თბილისი)- „ზვეზდა“ (ბუქარესტი, ყოფილი კკა). — — 82:77 (45:28).

„დინამო“ — მინაშვილი, ალთაბაევი, უგრეხელიძე, ბოსეშვილი, ლეჟავა.

„ზვეზდა“ — ფოლმერტი, ნედეფი, ნოსეკიჩი, ფოდორი, ნოვაჩეკი. მსაჯები: ჰეგერლე (პოლონეთი), ნოიუჰიუნეჰი (ფინეთი).

ამ რამდენიმე დღის წინ არც თუ ისე სასიამოვნო ცნობა მოვიდა ბუქარესტიდან. კალათბურთში ევროპის ჩემპიონთა თასზე თბილისის „დინამომ“ მხოლოდ ერთი ქულის განსხვავებით მოუგო რუმინეთის უძლიერეს გუნდს „ზვეზდას“.

დაძაბული მატჩის ნახვის სურვილით მოვიდა სპორტის სასახლეში გუშინ ათასობით მაყურებელი. მოლოდინი მხოლოდ თამაშის პირველ ნახევარში გამართლდა, როცა დინამოელებმა პირველ წუთებიდანვე ხელთ იგდეს „ძალაუფლება“ და თითქმის თავიანთი ფარის მისადგომებთან მიაჯაჭვეს რუმინელები. ანგარიში გაიხსნა უკვე 28-ე წამზე — უგრეხელიძემ მაღალ ნახტომში 2 ქულა მოუტანა თავის გუნდს. ანგარიში გამუდმებით იზრდებოდა დინამოელთა სასარგებლოდ — 4:0, 6:2, 12:6, 18:8. კარგად თამაშობდნენ მინაშვილი, უგრეხელიძე, ალთაბაევი, ლეჟავა. ამ უკანასკნელის ბრძოლა რუმინელ ნოვაჩეკთან ყოველთვის ქართველი კალათბურთელის სასარგებლოდ მთავრდებოდა. ყველაფერი თავისი რიგით მიდიოდა. თამაშის პირველი ნახევარი მოიგეს მასპინძლებმა — 45:28.

თამაშის პირველი ნახევრის 17 ქულის განსხვავებით მოგება უკვე იმას ნიშნავდა, რომ დინამოელები შეხვედრას დიდი ანგარიშით მოიგებდნენ. ალბათ ამ გადაწყვეტილებით გამოვიდნენ ისინი მეორე ტემპი შეთავაზეს მასპინძლებს, რომ დინამოელები კარგა ხნის განმავლობაში „მაყურებლების“ როლში იყვნენ, უყურებდნენ, თუ როგორ ცვივოდა ბურთი-ბურთზე საკუთარ ჯალათში.

29-ე წუთზე სტუმრები წინ გავიდნენ ერთი ქულით—58:57. დამარცხების საშიშროებამ თბილისელები გამოაფხიზლა. ერთი წუთის შემდეგ მოსეშვილმა გაათანაბრა ანგარიში — 58:58, შემდეგ უგრეხელიძისა და კილაძის ზუსტმა ტყორცნებმა 3 ქულის განსხვავებით წინ გაიყვანა ჩვენი გუნდი, და ამრიგად, მატჩი... მოიგეთ — 82:77.

განვლილმა შეხვედრამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ არ უნდა დამშვიდდე მიღწეულით, საჭიროა ბოლომდე ბრძოლა. ეს ასე რომ მომხდარიყო, დინამოელები შეხვედრას დიდი ანგარიშით მოიგებდნენ. არც თვითონ აღელდებოდნენ და მაყურებელთა წყრომასაც არ დაიმსახურებდნენ.

ბ. რატიანი



კიდევ რამდენიმე ტური და ბაქოში გამოირკვევა ვინ იქნება სსრ კავშირის 1961 წლის ჩემპიონი ჭადრაკში. ჯერჯერობით კი ჩემპიონატის ლიდერი კვლავ ლენინგრადელი გროსმაისტერი სპასკია. მე-15 ტურში სპასკიმ ვლადიმიროვს მწვავე ბრძოლა შესთავაზა და მეთოდური თამაშით დაამარცხა იგი. ტურნირის სენსაცია იყო ტალის დამარცხება ნეიშტადინოვთან. ტალმა პირველმა შიულოცა გამარჯვება ჩვენი ქვეყნის უხუცეს მოჭადრაკეს. გურგენიძემ კვლავ სუსტად ითამაშა და წაგო შამკოვიჩთან. შიანოვსკი დამარცხდა პოლუგაევსკისთან. კერეს-გიპსლისა და ბრონშტეინ-ავერბახის პარტიები ყაიმით დასრულდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

15 ტურის შემდეგ 10,5 ქულით ბ. სპასკი განაგრძობს ლიდერობას.

ლ ე ლ ო

ფე-3 33. № 201 (1887)

ეროვნული ბიბლიოთეკა





სპორტსმენი № 1

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტულ ჟურნალისტთა გაერთიანება „ინტერნაციონალ შპორტ კორესპონდენტი“ ყოველწლიურად აწყობს დიდ კონკურსს საკითხზე — „ვინ არის წლის საუკეთესო სპორტსმენი მსოფლიოში?“ მთელი მსოფლიოს სპორტულ გაზეთებსა და ცალკეულ გამოჩენილ სპორტულ ჟურნალისტებს ეგზავნებათ ანკეტა შესავსებად. ამასთან თვითეულ ადგილზე ქულათა გარკვეული რაოდენობაა დაწესებული: შემდეგ „ინტერნაციონალ შპორტ კორესპონდენტი“ ქულათა რაოდენობას აჯამებს და აცხადებს კონკურსის შედეგებს. ესაა ყველაზე უფრო პოპულარული კონკურსი სპორტულ ჟურნალისტთა შორის. სხვადასხვა დროს მასში გამარჯვება მოიპოვეს განთქმულმა ამერიკელმა მძლეოსანმა ჯონ თომასმა, საქვეყნოდ ცნობილმა ფეხბურთელებმა რაიმონ კოპამ და ალფრედო დი სტეფანომ.

ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა მთელ მსოფლიოში წლევანდელმა კონკურსმა, აი იმ სპორტულ გამოცემათა სია, რომლებმაც კონკურსში მიიღეს მონაწილეობა: „სპორტი“ (ბელგია), „ო' გლობო“ (ბრაზილია), „ვა კიუ იატპო“ (ჰონკონგი), „უროლდ სპორტი“ (ინგლისი), „იუსი სიუმი“ (ფინეთი), „სპორტ ენ სპორტვერელდი“ (ჰოლანდია), „ლა სტამპა“ (იტალია), „ნაროდნი სპორტი“ (იუგოსლავია), „დე ლუქსემბურგერ სპორტი“ (ლუქსემბურგი), „ლა პრენსა“ (მექსიკა), „სპორტს პოსტი“ (ახალი ზელანდია), „სპორტსმანდენი“ (ნორვეგია), „შპორტ უნდ ტოტო“ (ავსტრია), „სპორტოვეცი“ (პოლონეთი), „დიარიო პოპულარი“ (პორტუგალია), „სტოკჰოლმს ტიდნინგენი“ (შვეცია), „შპორტი“ (შვეიცარია), „შაი-თაი დეილი ნიუს“ (სიამი), „ელ მუნდო დეპორტივო“ (ესპანეთი), „ბერლინგსკე ტიდენდე“ (დანია), „ჩესკოსლოვენსკი სპორტი“ (ჩეხოსლოვაკია), „სოვეტსკი სპორტი“ (საბჭოთა კავშირი), „ნეპსპორტი“ (უნგრეთი), „სტარს ენდ სტრიპს“ (ამერიკის შეერთებული შტატები), „ეკიპი“ (საფრანგეთი) და „შპორტ ილუსტრირტე“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა).

თვითეულმა ამ გამოცემამ დაასახელა მსოფლიოს ხუთ-ხუთი უძლიერესი სპორტსმენი 1961 წლისათვის. როდესაც ქულები შეჯამდა, აღმოჩნდა, რომ პირველი ადგილი დიდი უპირატესობით მოიპოვა საბჭოთა მძლეოსანმა ვალერი ბრუმელმა. ეს ამ ფენომენალური მხტომელის საყოველთაო აღიარებაზე და მის მიერ საუკეთესოდ ჩატარებულ სპორტული სეზონის ღირსეულ დაგვირგვინებაზე მეტყველებს.

აი ამ კონკურსის საბოლოო შედეგები: 1. ვალერი ბრუმელი (საბჭოთა კავშირი) მძლეოსანი, 113 ქულა. 2. რალფ ბოსტონი (ამერიკის შეერთებული შტატები) მძლეოსანი, 36 ქულა. 3-4. იაი სილვესტრი (ამერიკის შეერთებული შტატები) მძლეოსანი და მანუელ დოს სანტოსი (ბრაზილია), მოცურავე — 31 ქულა თვითეულს. 5. შეტ იასტრემსკი (ამერიკის შეერთებული შტატები) მოცურავე, 30 ქულა. 6. იოლანდა ბალაში (რუმინეთი) მძლეოსანი, 20 ქულა. 7. ვილმა რუდოლფი (ამერიკის შეერთებული შტატები) მძლეოსანი, 15 ქულა. 8. იური ვლასოვი (საბჭოთა კავშირი) ძალოსანი, 13 ქულა. 9. ჟაკ ანკეტილი (საფრანგეთი) მოტოციკლისტი, 12 ქულა. 10. ირინე პრესი (საბჭოთა კავშირი) მძლეოსანი, 10 ქულა. 11. რიკ ვან ლოოუ (ბელგია) მოტოციკლისტი, 9 ქულა. 12. პელე (ბრაზილია) ფეხბურთელი, 8 ქულა. 13. მიურეი ჰალბერგი (ახალი ზელანდია) მძლეოსანი, 6 ქულა. 14-16. ანჯელა მორტიმერი (ინგლისი) ჩოგბურთში უიმბლდონის ტურნირში გამარჯვებული, როდ ლეივერი (ავსტრალია) ჩოგბურთში უიმბლდონის ტურნირში გამარჯვებული, ფრენკ ბუდი (ამერიკის შეერთებული შტატები) მძლეოსანი, 5-5 ქულა თვითეულს და სხვ.

სპორტულ გამოცემათა დიდი უმრავლესობა ბრუმელს პირველ ადგილს მიაკუთვნებს. ველინგტონის „სპორტს პოსტს“ ხუთეულში არ დაუსახელებია არც ერთი ევროპელი სპორტსმენი, ხოლო ამერიკულმა ჟურნალმა „სტარს ენდ სტრიპსმა“, რომელმაც ბრუმელს მეორე ადგილი დაუთმო, დანარჩენ ოთხ ადგილზე ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენები დაასახელა.

ყურადღებას იპყრობს წინა კონკურსებთან შედარებით ფეხბურთელთა „ხვედრითი წონის“ დაცემა. თუ წინათ დი სტეფანოსა და კოპას პირველ ადგილზეც კი ასახელებდნენ, ამჯერად მსოფლიოს უძლიერეს ფეხბურთელად მიჩნეულმა პელემ დაიკავა მხოლოდ მე-12 ადგილი, ამასთან მისი და კონკურსში გამარჯვებულის, ბრუმელის ხმების შედარება ღიმილსაც კი იწვევს — ბრუმელის 113 ქულა პელეს 8 ქულის წინააღმდეგ.

წლევანდელი კონკურსის მეორე თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ამჯერად წარმოდგენილი არ არის არც ერთი პროფესიონალური ჩოგბურთელი (არც მსოფლიო ჩემპიონი როზუელი), მაშინ, როდესაც ოცეულში მოხვდა უიმბლდონის ტურნირში ორივე გამარჯვებული. ბოლოს, მასში მხოლოდ ერთი მოკრივეა დასახელებული (ფლოიდ პატერსონი), მაშინ, როდესაც გასულ წლებში მოკრივეები ასეთ კონკურსში ყოველთვის თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ.

ფეხბურთის ქრონიკა

დამთავრდა არგენტინის ჩემპიონატი ფეხბურთში. პირველი ადგილი დაიკავა ბუენოს-აირესის „რესინგმა“. მომდევნო ადგილებზე არიან „სან-ლორენცო“ და „რივერ პლეიტი“. შარშანდელი ჩემპიონი „ინდეპენდენტე“ გამოვიდა მხოლოდ მე-6 ადგილზე.

• • •

ყველა მატჩი ნათამაშევია პარაგვაის ჩემპიონატშიც, მაგრამ პირველი ადგილის მფლობელი ჯერ არ გამოვლენილა. ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს „ოლიმპიამ“, „ცერო პორტენომ“ და „სპორტივო ლუგენომ“. მათს შორის უნდა ჩატარდეს დამატებითი თამაშები და გამარჯვებულს მიენიჭება ჩემპიონის საპატიო წოდება.

• • •

სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში ხანგრძლივი დროით გაემგზავრა უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი.

უნგრელები ითამაშებენ ჩილის, კოლუმბიის, არგენტინის, ეკვადორისა და ურუგვაის გუნდებთან.

დიდის განცხადება

ბრაზილიაში გამოქვეყნდა ცნობილი ფეხბურთელის დიდის ინტერვიუ, სადაც ლაპარაკია, რომ მან უკვე მიიღო მონაწილეობა ორ მსოფლიო ჩემპიონატში და მოხარული იქნება თუ ჩილშიც გაემგზავრება. დიდის სურს „ბოტაფოგოს“ შემადგენლობაში კიდევ ერთი წლის განმავლობაში ითამაშოს. იგი ამჟამად გაძლიერებულ წვრთნას გადის და მიმომხილველთა აზრით, კარგ ფორმაშია.

— 1962 წელი, — განაცხადა დიდიმ, — უკანასკნელი იქნება ჩემს სპორტულ კარიერაში.

ბედნიერია ჩემპიონის მეუღლე?

შეჯიბრებები სხვადასხვაგვარია. 64 წლის ამერიკელი ქალი ი. მაკოლი გამარჯვებული გამოვიდა მოლაყბეთა „ჩემპიონატში“. იგი შეუსვენებლივ ლაპარაკობდა 28 საათსა და 44 წუთს. მან უახლოესი მეტოქე ჩამოიტოვა მთელი ერთი საათით. „შეჯიბრების“ ორგანიზატორებმა მაკოლის გადასცეს 1500 დოლარი.

გაზეთის რეპორტიორების შეკითხვაზე გამარჯვებულმა განაცხადა, რომ მას შეეძლო კიდევ ელაპარაკა, სერიოზული კონკურენტები რომ ჰყოლოდა. ჩემპიონის ქმრის პასუხი უფრო ლაკონური იყო. — „შეგიძლიათ ყველას მიულოცოთ, — თქვა მან, — ოღონდ მე არა“.

რედაქტორი Ო. ᲣᲑᲣᲚᲐᲕᲐ



11-14 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

კლასიკურ ჭიდაობაში

დასაწყისი 12 და 19 ს.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05710